სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის
სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის
ა ქ ტ ი № 3

თბილისი 13-01-2022

ობიექტის დასახელება: სსიპ კოლეჯი "მოდუსი"

ობიექტის მისამართი : იალღუჯის დასახლება (ყოფილი პნევმოტრასის ტერიტორია) (მარნეული)

საიდენტიფიკაციო ნომერი: 216350829

ობიექტის მფლობელი/მესაკუთრე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კოლეჯი "მოდუსი"

ობიექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: ნინო ქავთარაძე,35001097559

შემოწმებაში მონაწილე ობიექტის წარმომადგენელი: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი თენგიზ ლომინაშვილი და ბადრი მიშველაძე

ობიექტის შემოწმების განმახორციელებელი ზედამხედველობის ინსპექტორ(ებ)ი:

- გიორგი ვარდოშვილი - უფროსი ინსპექტორი
- ლევან ქეშელაშვილი - ინსპექტორი
- იაკობ ბეშიძე - უმცროსი ინსპექტორი

შემოწმების თარიღი : 13-01-2022 დან 13-01-2022 მდე

ობიექტის შემოწმების საფუძველი : 74471 (11/01/2022)

ობიექტის შენობა-ნაგებობები რაზედაც ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება გამოკვლევა: სსიპ კოლეჯი ,,მოდუსი'' - იალღუჯის დასახლება (ყოფილი პნევმოტრასის ტერიტორია)

ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგა წინამდებარე აქტი:

1. ობიექტზე (შენობა-ნაგებობა) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების საორგანიზაციო ღონისძიებათა, ტექნიკურიმრეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტების, ბრძანებების, ინსტრუქტაჟების შესაბამისი ინსტრუქციების და სხვათა არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით, ამ ეტაპისთვის არ არის გათვალისწინებული/შესრულებული. სსიპ კოლეჯი ,,მოდუსი'' ამ ეტაპისთვის არ ახორციელებს სასწავლო საქმიანობას. ობიექტის სასწავლო საქმიანობის დაწყებისათვის და თანამშრომლების სამუშაოდ დაშვების პროცესში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას თანამშრომელთათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით.

2. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, ობიექტი დაკომპლექტებულია საჭირო რაოდენობის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი,,112’’.

3. ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შეფასება:

(აღინიშნება ობიექტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობას გააჩნია ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებით გათვალისწინებული საევაკუაციო გასასვლელები, რომლებიც მიემართება (გადის) შენობის გარეთ.

4. ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ელექტრომოწყობილობების და ელექტროდანადგარების მოწყობის შესაბამისობა ნორმატიულ მოთხოვნებთან, ელექტროქსელების მონტაჟის და ექსპლუატაციის მდგომარეობა და სხვ)

ობიექტის ელექტრო მოწყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს ელექტროდანადგარების მოწყობის წესებს.

5. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და გათბობის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სავენტილაციო კამერების, მზღუდავი კონსტრუქციების, არხების, ჰაერსატარების ცეცხლმედეგობის ხარისხის, გაყვანისა და მონტაჟის, აგრეთვე თბომაგენერირებელი სისტემების მოწყობის შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ობიექტზე კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემა არ ესაჭიროება.

6. სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო სიგნალიზაციის საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობაში დამონტაჟებულია სამისამართო სახანძრო სიგნალიზაცია, სიგნალიზაციის და სიგნალის მიმღებ-მაკონტროლებელი აპარატის/მართვის პანელთან არის ორგანიზებული ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა (მეთვალყურეობა), სადაც გამოკრულია ინსტრუქცია ხანძრის დროს სიგნალის მიღების ან სისტემების

გაუმართაობის დროს მორიგე პერსონალის მოქმედების წესის შესახებ.

ხელოვნური დაკვამლიანების იმიტაციის მქონე სახანძრო სიგნალიზაციის გამოსაცდელი ხელსაწყოს დახმარებით შერჩევითი პრინციპით დერეფანში და საკლასო ოთახებში გამოცდილი იქნა კვამლზე მორეაგირე დეტექტორები და ხელის სახანძრო ღილაკები. გააქტიურებული დეტექტორების და სახანძრო ღილაკების სიგნალები მისამართის მიხედვით იქნა გამოტანილი სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პანელზე, შესაბამისად შენობაში დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და სახანძრო ღილაკები არის გამართულ მდგომარეობაში.

სახანძრო სიგნალიზაციის და განგაშის ღილაკის, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად გააქტიურების შედეგად განგაშის ჩართვისას, გათვალისწინებულია ლიფტის (ლიფტების) ავტომატური დაშვება პირველ ძირითად ჩასაჯდომ სართულზე და ლიფტის კარების ღია პოზიციაში ბლოკირება („სახანძრო საშიშროების“ ფუნქციის მქონე ლიფტების შემთხვევაში).

7. ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა, საევაკუაციო განათების არსებობა და მდგომარეობა, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგემების არსებობა, საევაკუაციო გზების მანიშნებელი ნიშნების არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობაში მოწყობილია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის სისტემა, შენობის გასასვლელებთან მოწყობილია საევაკუაციო გზის მიმართულების მანათობელი მაჩვენებელი ნიშნები, შენობაში მოწყობილია ავტონომიური კვების მქონე ავარიული განათებები, შენობის სართულებზე საევაკუაციო გზებზე არის გამოკრული საევაკუაციო გეგმები.

8. ობიექტის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების საჭიროება, არსებულის მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობა არ საჭიროებს ხანძრის ჩაქრობის ავტომატურ სისტემას.

9. ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების შეფასება:

(აღინიშნება შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა, საჭიროება და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობის შიდა სახანძრო წყალმომარაგების სისტემა არის გამართულ მდგომარეობაში, სატუმბ სადგურს გააჩნია დამოუკიდებელი კვების წყარო (გენერატორი).

შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გათვალიწინებულია სარწყავი არხი, რომელიც შენობიდან არის დაახლოებით 60 მეტრში ცენტრალურ გზასთან, საიდანაც სახანძრო მანქანისთვის წყლის აღება არის შესაძლებელი.

10. აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობების შეფასება:

(აღინიშნება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობები და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობაში აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებები არ ინახება.

შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ:

☑ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ზედამხედველობის ინსპექტორი:	ხელმოწერა
გიორგი ვარდოშვილი	
ლევან ქეშელაშვილი	
იაკობ ბეშიძე	